საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/102

ქ. ბათუმი 06 ივლისი, 2021 წ.

ბსუ-ს დოქტორანტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების დამტკიცებისა და ზოგიერთი საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე, 46-ე და 48-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე–13, 66-70-ე მუხლების, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის N19 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N6 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/87 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის "განათლების მეცნიერებები“ სწავლის საფასურის განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 18 დეკემბრის N07-01/103 გადაწყვეტილების, „ბსუ–ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილების, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (თსუ), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (აწსუ), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (თესაუ) და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ბსუ) შორის „განათლების მეცნიერებების“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით 2020 წლის 20 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების, ,,ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „განათლების მეცნიერებების“ დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 20 ივლისის N06-01/37 დადგენილების, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის ლელა თურმანიძის 2020 წლის 12 ივლისის N591894, 2021 წლის 16 თებერვლის N118632, 2021 წლის 23 აპრილის N397245, 2021 წლის 24 აპრილის N347201 სამსახურებრივი ბარათების, ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსის თამარ მაჭუტაძის 2021 წლის 14 აპრილის N361605 სამსახურებრივი ბარათის, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის ოფისის სპეციალისტის მაია მაღულარიას 2021 წლის 14 მაისის N445002 სამსახურებრივი ბარათის, ,,2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ში

რიგგარეშე შიდა მობილობის შედეგად ,,განათლების მეცნიერებები" სადოქტორო საგანმანათლებლო ერთობლივ პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 19 თებერვლის N01-08/27 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან გასაფორმებელი ხელშეკრულების თანდართული ფორმა **(დანართი 1).**
2. დამტკიცდეს **დანართი 2-ის** შესაბამისად ბსუ-ს იმ დოქტორანტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა, რომლებიც ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხნენ სხვადასხვა წლებში, შეჩერებული ჰქონდათ სტუდენტის სტატუსი საკუთარი ან უნივერსიტეტის ინიციატივით (სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლა, პირადი განცხადებით, აკადემიური ან/და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა ან სხვა საუფვძლით) და ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნდნენ 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის ან გაზაფხულის სემესტრიდან ან/და დაბრუნდებიან მომდევნო სემესტრებში. აღნიშნული პირებთან გაფორმებული ახალი ხელშეკრულების ამოქმედების ვადა განისაზღროს შესაბამისი სემესტრიდან (როცა დაბრუნდნენ ან დაბრუნდებიან სასწავლო პროცესში).
3. დამტკიცდეს 2020-2021 სასწავლის გაზაფხულის სემესტრიდან ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის *,,განათლების მეცნიერებების“* ერთობლივ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების თანდართული ფორმა **(დანართი 3).**
4. შესაბამისი ფაკულტეტების დეკანების ოფისებმა, სამეცნიერო კვლევების სამსახურთან, სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტთან კოორდინირებული მუშაობით უზრუნველყონ 2020-2021 სასწავლო წელს ჩარიცხულ დოქტორანტებთან წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ფორმების **(დანართები N1, N2 და N3)** შესაბამისად ხელშეკრულებების გაფორმება, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/87 გადაწყვეტილებით და 2020 წლის 18 დეკემბრის N07-01/113 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სწავლის საფასურის ოდენობის გათვალისწინებით.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“).
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ ფაკულტეტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის

დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

დამტკიცებულია ბსუ-ს რექტორის
2021 წლის 06 ივლისის N 01-02/108 ბრძანების
დანართი 1

ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი "____"_____" _____ წ.

ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,უნივერსიტეტი"/,,ბსუ"), წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის ---------- მიერ და მეორე მხრივ ფიზიკური პირი _____ (შემდგომში ,,სტუდენტი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია უნივერსიტეტსა და ----------
ფაკულტეტის ----------
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს შორის ურთიერთობის რეგულაცია.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1. მხარეთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით, საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით, სწავლის საფასურის გადახდის წესითა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტებით.

2.2. **სტუდენტი** წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაცნობილია უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ ,,სტუდენტის გზამკვლევს", მასში მითითებულ სამართლებრივ აქტებს და **კისრულობს ვალდებულებას**:

ა) შეასრულოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები და ამ მიზნით, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილ ვადაში გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია (დაარეგისტრიროს სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები) და შეასრულოს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სამუშაო;

ბ) ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილ ვადაში გადაიხადოს უნივერსიტეტში სწავლის საფასური (გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია);

გ) სისტემატიურად ისარგებლოს ,,სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემით"/,,სტუდენტური პორტალით", რომლის საშუალებით მას მიეწოდება უნივერსიტეტის შეტყობინებები ან/და ინფორმაცია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და მასთან დაკავშირებული, შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემის თაობაზე;

დ) უნივერსიტეტთან კომუნიკაციისათვის (ინფორმაციის, ცნობების მიღება) ისარგებლოს სტუდენტური პორტალით და პირადი მონაცემების ცვლილების შემთხვევაში წარმოადგინოს ინფორმაცია სტუდენტურ პორტალზე/ელექტრონულ სისტემაში, მის პირად პროფილში ასახვის მიზნით;

ე) გაეცნოს უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს (აისახება ,,სტუდენტის გზამკვლევში"/ განთავსდება უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე/სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში/სტუდენტურ პორტალზე/ კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე/ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.bsu.edu.ge.) ან/და უნივერსიტეტის გაზეთში ,,ბათუმის უნივერსიტეტი");

ვ) სარგებლობისას გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, შეინარჩუნოს მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მდგომარეობა; ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით, უნივერსიტეტის აქტებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები;

2.3. **სტუდენტი უფლებამოსილია:**

ა) უნივერსიტეტისაგან მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება, ასევე მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;
ბ) უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილ ვადაში და წესით მოითხოვოს სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა ან ისარგებლოს მობილობის უფლებით;
დ) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, აირჩიოს ან/და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში და უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოში.
2.4. სტუდენტი თანახმაა მისი პერსონალური მონაცემები დამუშავებული იქნეს ბსუ-ს მიერ, წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან და სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე (სტუდენტურ პორტალზე/სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში განთავსება და სხვა).
2.5. **უნივერსიტეტი ვალდებულია** უზრუნველყოს სტუდენტი:
ა) ხარისხიანი განათლებით;
ბ) სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობით;
გ) სწავლისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
დ) შესაბამისი ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლებით;
ე) უნივერსიტეტის პერსონალის შეფასებაში მონაწილეობის უფლებით;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და სხვა აქტებით მინიჭებული უფლებებით.

მუხლი 3. სწავლის საფასური

3.1. სტუდენტის სწავლის საფასური (ერთი სასწავლო წლისათვის) შეადგენს _ _ _ _ _ _ _ ლარს.
3.2. სტუდენტი სწავლის საფასურს იხდის სემესტრულად, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,სწავლის საფასურის გადახდის წესისა" და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში (სწავლის საფასური გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 7 0901 7289 - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასური; დანიშნულებაში უნდა მიეთითოს: სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფაკულტეტი, პროგრამა);
3.3. სემესტრის დაწყებისა და დასრულების (აკადემიური კალენდარი), ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის პერიოდი, განისაზღვრება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით, რომელიც სტუდენტებს ეცნობებათ სტუდენტური პორტალის მეშვეობით, ასევე ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (ველში ,,სწავლა"- ,,აკადემიური კალენდარი").

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და სტუდენტის სტატუსი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ---------- სასწავლო წლის ---------- სემესტრიდან) და მოქმედებს მის შეწყვეტამდე;
4.2. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

4.3. უნივერსიტეტის **სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:**

ა) პირადი განცხადება;

ბ) დოქტორის ხარისხის მინიჭება;

გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა;

დ) ერთი და იგივე სასწავლო და სამეცნიერო (კოლოქვიუმები) კომპონენტის სამჯერ დადებით ქულაზე შეუსრულებლობა;

ე) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ვ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლოს დაწესებულებაში გადასვლა (მობილობა);

ზ) დოქტორანტის მხრიდან პლაგიატი;

თ) გარდაცვალება;

ი) უნივერსიტეტს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით და დოქტორანტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა.

4.4. **სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:**

ა) ადმინისტრაციული (სწავლის საფასურის გადახდა) ან/და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;

ბ) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

დ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა);

ე) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით ან/და სხვა აქტებით განსაზღვრული შემთხვევები.

4.5. სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან/და შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტები (სტუდენტის ან უნივერსიტეტის ინიციატიცით) გამოიცემა ბსუ-ს წესდების, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის ან/და სწავლის საფასურის გადახდის წესის შესაბამისად.

მუხლი 5. სხვა პირობები და მხარეთა რეკვიზიტები

5.1. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსშეჩერებული პირის სასწავლო პროცესში დაბრუნების, სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, მოქმედებს უნივერსიტეტის უახლესი აქტებით დადგენილი მოთხოვნები.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში მხარეები ხელმძღვანელობენ მოქმედი კანონმდებლობით;

5.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

5.4. მხარეთა რეკვიზიტები:

,,უნივერსიტეტი"	,,სტუდენტი"
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სახელი, გვარი _____ პირადი № _____ ფაქტობრ. მისამ._____ რეგისტრ.მისამ. ---------- ტელეფონი _____ ელ. ფოსტა_____
ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32	

(რექტორის ხელმოწერა)	სტუდენტის ხელმოწერა _____

დამტკიცებულია ბსუ-ს რექტორის
2021 წლის 06 ივლისის N 01-24/02 ბრძანების
დანართი 2

ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი "____"_____" _____ წ.

ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,უნივერსიტეტი"/,,ბსუ"), წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის - ---------- მიერ და მეორე მხრივ ფიზიკური პირი _____ _____ (შემდგომში ,,სტუდენტი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია უნივერსიტეტსა და ---------- **ფაკულტეტის** ---------- **სადოქტორო** საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს შორის ურთიერთობის რეგულაცია.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.2. მხარეთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით, საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით, სწავლის საფასურის გადახდის წესითა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტებით.

2.3. **სტუდენტი** წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაცნობილია უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ ,,სტუდენტის გზამკვლევს", მასში მითითებულ სამართლებრივ აქტებს და **კისრულობს ვალდებულებას**:

ა) შეასრულოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები და ამ მიზნით, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილ ვადაში გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია (დაარეგისტრიროს სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები) და შეასრულოს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სამუშაო;

ბ) ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილ ვადაში გადაიხადოს უნივერსიტეტში სწავლის საფასური (გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია);

გ) სისტემატიურად ისარგებლოს ,,სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემით"/,,სტუდენტური პორტალით", რომლის საშუალებით მას მიეწოდება უნივერსიტეტის შეტყობინებები ან/და ინფორმაცია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და მასთან დაკავშირებული, შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემის თაობაზე;

დ) უნივერსიტეტთან კომუნიკაციისათვის (ინფორმაციის, ცნობების მიღება) ისარგებლოს სტუდენტური პორტალით და პირადი მონაცემების ცვლილების შემთხვევაში წარმოადგინოს ინფორმაცია სტუდენტურ პორტალზე/ელექტრონულ სისტემაში, მის პირად პროფილში ასახვის მიზნით;

ე) გაეცნოს უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს (აისახება ,,სტუდენტის გზამკვლევში"/ განთავსდება უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე/სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში/სტუდენტურ პორტალზე/ კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე/ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.bsu.edu.ge.) ან/და უნივერსიტეტის გაზეთში ,,ბათუმის უნივერსიტეტი");

ვ) სარგებლობისას გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, შეინარჩუნოს მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მდგომარეობა; ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით, უნივერსიტეტის აქტებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები;

2.3. **სტუდენტი უფლებამოსილია:**

ა) უნივერსიტეტისაგან მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება, ასევე მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;

ბ) უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილ ვადაში და წესით მოითხოვოს სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა ან ისარგებლოს მობილობის უფლებით;

დ) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, აირჩიოს ან/და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში და უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოში.

2.4. სტუდენტი თანახმაა მისი პერსონალური მონაცემები დამუშავებული იქნეს ბსუ-ს მიერ, წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან და სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე (სტუდენტურ პორტალზე/სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში განთავსება და სხვა).

2.5. **უნივერსიტეტი ვალდებულია** უზრუნველყოს სტუდენტი:

ა) ხარისხიანი განათლებით;

ბ) სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობით;

გ) სწავლისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

დ) შესაბამისი ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლებით;

ე) უნივერსიტეტის პერსონალის შეფასებაში მონაწილეობის უფლებით;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და სხვა აქტებით მინიჭებული უფლებებით.

მუხლი 3. სწავლის საფასური

3.1. სწავლის საფასური განსაზღვრულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,სწავლის საფასურის გადახდის წესისა" და წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს N07-01/87 გადაწყვეტილების შესაბამისად, რაც ასახულია/აისახება სტუდენტის (დოქტორანტის) დოქტორანტურაში სწავლის ხარჯთაღრიცხვაში. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული დოქტორანტის ხარჯთაღრიცხვა განიხილება დოქტორანტთა დადებული წინამდებარე ხელშეკრულების ნაწილად. ხარჯაღრიცხვის ცვლილება არ იწვევს წინამდებარე ხელშეკრულების ცვლილებას;

3.2. სწავლის საფასური გადახდილი უნდა იქნეს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში, სემესტრულად, შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 7 0901 7289 - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასური (დანიშნულებაში უნდა მიეთითოს: სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფაკულტეტი, პროგრამა);

3.3. სემესტრის დაწყებისა და დასრულების (აკადემიური კალენდარი), ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის პერიოდი, განისაზღვრება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით, რომელიც სტუდენტებს ეცნობებათ სტუდენტური პორტალის მეშვეობით, ასევე ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (ველში ,,სწავლა"- ,,აკადემიური კალენდარი").

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და სტუდენტის სტატუსი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ---------- სასწავლო წლის ---------- სემესტრიდან) და მოქმედებს მის შეწყვეტამდე;

4.2. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

4.3. უნივერსიტეტის **სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის** საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) დოქტორის ხარისხის მინიჭება;

გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა;

დ) ერთი და იგივე სასწავლო და სამეცნიერო (კოლოქვიუმები) კომპონენტის სამჯერ დადებით ქულაზე შეუსრულებლობა;

ე) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ვ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლოს დაწესებულებაში გადასვლა (მობილობა);

ზ) დოქტორანტის მხრიდან პლაგიატი;

თ) გარდაცვალება;

ი) უნივერსიტეტს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით და დოქტორანტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა.

4.4. **სტუდენტის სტატუსის შეჩერების** საფუძვლებია:

ა) ადმინისტრაციული (სწავლის საფასურის გადახდა) ან/და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;

ბ) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

დ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა);

ე) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით ან/და სხვა აქტებით განსაზღვრული შემთხვევები.

4.5. სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან/და შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტები (სტუდენტის ან უნივერსიტეტის ინიციატიცით) გამოიცემა ბსუ-ს წესდების, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის ან/და სწავლის საფასურის გადახდის წესის შესაბამისად.

მუხლი 5. სხვა პირობები და მხარეთა რეკვიზიტები

5.1. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსშეჩერებული პირის სასწავლო პროცესში დაბრუნების, სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, მოქმედებს უნივერსიტეტის უახლესი აქტებით დადგენილი მოთხოვნები.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში მხარეები ხელმძღვანელობენ მოქმედი კანონმდებლობით;

5.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

5.4. მხარეთა რეკვიზიტები:

„უნივერსიტეტი"	„სტუდენტი"
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სახელი, გვარი _____ პირადი № _____ ფაქტობრ. მისამ._____ რეგისტრ.მისამ. ---------- ტელეფონი _____ ელ. ფოსტა_____
ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32	
---------- (რექტორის ხელმოწერა)	სტუდენტის ხელმოწერა _____

დამტკიცებულია ბსუ-ს რექტორის
2021 წლის 06 ივლისის №01-04/102 ბრძანების
დანართი 3

ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი "____"_____"_____ წ.

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,უნივერსიტეტი"/,,ბსუ"), წარმოდგენილი უნივერსიტეტის რექტორის ----------მიერ და მეორე მხრივ ფიზიკური პირი _ _ _

ვ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასება;

ზ) საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ ძირითად ვადებში შეფასების გაუმჯობესების მიზნით სემესტრულ სამუშაო ნორმად დადგენილი კრედიტების ფარგლებში განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი. ამ შემთხვევაში სტუდენტს სასწავლო კურსის შეფასებად უფიქსირდება უკეთესი შედეგი;

2.5. **უნივერსიტეტი ვალდებულია** უზრუნველყოს სტუდენტი:

ა) ხარისხიანი განათლებით;

ბ) სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობით;

გ) სწავლისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

დ) შესაბამისი ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლებით;

ე) უნივერსიტეტის პერსონალის შეფასებაში მონაწილეობის უფლებით;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და სხვა აქტებით მინიჭებული უფლებებით.

მუხლი 3. სწავლის საფასური

3.1. **სწავლის წლიური საფასური** საქართველოს მოქალაქე სტუდენტისათვის შეადგენს - **2250 ლარს,** ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტისათვის - 5000 ლარს, თანახმად ერთობლივი ხელშეკრულებისა და ბსუ-ს აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს სამართლებრივი აქტებისა;

3.2. სტუდენტი სწავლის საფასურს იხდის სემესტრულად, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,სწავლის საფასურის გადახდის წესისა" და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში (სწავლის საფასური გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 7 0901 7289 - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასური; დანიშნულებაში უნდა მიეთითოს: სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფაკულტეტი, პროგრამა);

3.3. სემესტრის დაწყებისა და დასრულების (აკადემიური კალენდარი), ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის პერიოდი, განისაზღვრება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით, რომელიც სტუდენტებს ეცნობებათ სტუდენტური პორტალის მეშვეობით, ასევე ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (ველში ,,სწავლა"- ,,აკადემიური კალენდარი").

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და სტუდენტის სტატუსი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ---------- და მოქმედებს მის შეწყვეტამდე;

4.2. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

4.3. უნივერსიტეტის **სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:**

ა) პროგრამაზე სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

ბ) სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო საფეხურზე საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

გ) პირადი განცხადება;

დ) ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსში სამჯერ კრედიტის ვერმიღება;

ე) პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტების საბჭოების მიერ სტუდენტის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება შესაბამისი პარტნიორი უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის, ,,შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების საფუძველზე;

ვ) გარდაცვალება;

4.4. **სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:**

ა) ადმინისტრაციული ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;

ბ) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში სტუდენტის მონაწილეობის შეუძლებლობა.

გ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პარტნიორი უსდ-ებიდან წასული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის.

დ) პირადი განცხადება.

4.5. სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან/და შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტები (სტუდენტის ან უნივერსიტეტის ინიციატიცით) გამოიცემა ბსუ-ს წესდების, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების, სწავლის საფასურის გადახდის წესის, ერთობლივი ხელშეკრულების ან/და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

მუხლი 5. სხვა პირობები და მხარეთა რეკვიზიტები

5.1. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსშეჩერებული პირის სასწავლო პროცესში დაბრუნების, სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, მოქმედებს უნივერსიტეტის უახლესი აქტებით დადგენილი მოთხოვნები.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში მხარეები ხელმძღვანელობენ მოქმედი კანონმდებლობით;

5.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

5.4. მხარეთა რეკვიზიტები:

,,უნივერსიტეტი"	,,სტუდენტი"
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სახელი, გვარი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ პირადი № _ ფაქტობრ. მისამ._ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ რეგისტრ.მისამ. ---------- ტელეფონი _ ელ. ფოსტა_ _
ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32	

(რექტორის ხელმოწერა)	სტუდენტის ხელმოწერა _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

თსუ-ს, აწსუ-ს, თესაუ-ს და ბსუ-ს შორის „განათლების მეცნიერებების“
ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის
განხორციელების მიზნით 2020 წლის 20 აგვისტოს
გაფორმებული ხელშეკრულების დანართი N5

„განათლების მეცნიერებების“ ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე სასწავლო
პროცესის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ამ წესის მიზანია განსაზღვროს პროგრამის სტუდენტის სტატუსის მოპოვების,სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, სტუდენტის მიღწევების შეფასების ერთიანი პროცედურა, სტუდენტის უფლება–მოვალეობები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

მუხლი 2. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

დოქტორანტურაში მიღების წესი განისაზღვრება წარმდგენი უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით.

მუხლი 3. მობილობის წესით ჩარიცხვა

პარტნიორ უსდ-ებში მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 4. სასწავლო სემესტრები

1. სასწავლო წელი შედგება შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან.

2. სასწავლო წლის დაწყებამდე პარტნიორი უსდ-ების რექტორების ბრძანებით განისაზღვრება წინასწარი აკადემიური, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის, სააუდიტორიო მეცადინეობებისა და საგამოცდო პერიოდის ვადები.

მუხლი 5. სტუდენტის დატვირთვა

1. სტუდენტის დატვირთვა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 40 კრედიტს.

2. სტუდენტის დატვირთვა ერთი სემესტრის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 35 კრედიტს.

მუხლი 6. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

1. სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა გულისხმობს სწავლის საფასურის სრულ ან ნაწილობრივ გადახდას პარტნიორ უსდ-ბში დადგენილი წესების დაცვით, წარმოადგენს აკადემიური რეგისტრაციის გავლისწინაპირობას და გამოხატავს სტუდენტის მზაობას მონაწილეობა მიიღოს სასწავლოპროცესში, შესაბამის სემესტრულ შუალედურ და დასკვნით გამოცდებში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესიდან გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს პარტნიორი უსდ-ების რექტორების ბრძანებით.

3. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებასსასწავლო პროცესის მართვის სისტემის საშუალებით.

4. სასწავლო კურსის შეცვლა ან გაუქმება დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან 1 კვირის ვადაში.

მუხლი 6.1. წინასწარი აკადემიური რეგისტრაცია

1. ამავე წესის მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული რეგისტრაციის დაწყებამდე ფაკულტეტებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოაცხადონ წინასწარი აკადემიური რეგისტრაცია, რაც გულისხმობს სტუდენტის სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებას სასწავლო პროცესის მართვის სისტემის საშუალებით.

2. წინასწარი აკადემიური რეგისტრაცია ნებაყოფლობითია როგორც ფაკულტეტის, ასევე შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

3. წინასწარი აკადემიური რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ

ვადებში სტუდენტის მიერ რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში, საგნების დარეგისტრირება შესაძლებელია აკადემიური რეგისტრაციისთვის განსაზღვრულ პერიოდში სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილი ადგილების ფარგლებში.

4. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში უქმდება წინასწარი აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში არჩეული სასწავლო კურსები.

მუხლი 6.2. წინასწარი ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია უცხოქვეყნის მოქალაქეობის მქონე სტუდენტებისთვის

1. უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე სტუდენტს უფლება აქვს გაიაროს წინასწარი ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია პარტნიორი უსდ-ების რექტორების ბრძანებით რეგისტრაციისთვის დადგენილი ვადის დაწყებამდე 60დღის განმავლობაში. აღნიშნული რეგისტრაციის გავლის შემთხვევაში სტუდენტს სტატუსი ეთვლება აქტიურად.

2. უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე სტუდენტი წინასწარი ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის განცხადებით მიმართავს პარტნიორი უსდ-ების საფინანსო დეპარტამენტებს, ხოლო წინასწარი აკადემიური რეგისტრაციისათვის - შესაბამის განმახორციელებელ ფაკულტეტებს.

მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

ა) ადმინისტრაციული ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;

ბ) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში სტუდენტის მონაწილეობის შეუძლებლობა.

გ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პარტნიორი უსდ-ებიდან წასული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის.

(დ) პირადი განცხადება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის "ბ"და "გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული საფუძვლით სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამისი პარტნიორი უსდ-ის რექტორს სასწავლოპროცესის დაწყებიდან 5 კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგიგი კარგავს სტატუსის შეჩერებისა და სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას. ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტისსაფუძველზე, სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, სტუდენტმა განცხადებით უნდამიმართოს შესაბამისი პარტნიორი უსდ-ის რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლისშემდეგ იგი კარგავს მიმდინარე სემესტრში სტატუსის შეჩერების და სწავლისსაფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას.

2.1 ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესიდან გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს შესაბამისი პარტნიორი უსდ-ის რექტორის ბრძანებით.

3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და პარტნიორი უნივერსიტეტების სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 8. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. პარტნიორი უსდ-ებიდან სტატუსშეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სტუდენტს სემესტრი განესაზღვრება პარტნიორი უსდ-ების აკადემიური საბჭოების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

2. ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე დაწესებულებაში, რომელშიც განხორციელდა მისი ჩარიცხვა.

მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პროგრამაზე სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

ბ) სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო საფეხურზე საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

გ) პირადი განცხადება;

დ) ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსში სამჯერ კრედიტის ვერმიღება;

ე) განმახორციელებელი ფაკულტეტების საბჭოების მიერ სტუდენტის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება შესაბამისი პარტნიორი უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის, ,,შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების საფუძველზე;

ვ) გარდაცვალება.

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და პარტნიორი უნივერსიტეტების სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 10. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით და გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. სტუდენტის სტატუსი და უფლება-მოვალეობები

1. პროგრამის სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება და მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევაში;

ბ) ისარგებლოს პარტნიორი უსდ-ების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია პარტნიორ უსდ-ებში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;

დ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს საგამოცდო შედეგი;

ე) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის თაობაზე;

ვ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასება;

ზ) საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ ძირითად ვადებში შეფასების გაუმჯობესების მიზნით სემესტრულ სამუშაო ნორმად დადგენილი კრედიტების ფარგლებში განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი. ამ შემთხვევაში სტუდენტს სასწავლო კურსის შეფასებად უფიქსირდება უკეთესი შედეგი;

2. სტუდენტი ვალდებულია:

1. სტუდენტი ვალდებულია პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა,დაიცვას შესაბამისი პარტნიორი უსდ-ის წესდება, პერიოდულად ეცნობოდეს სამართლებრივ აქტებს და განუხრელად დაიცვას მათი მოთხოვნები;

2. პირს უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი ენიჭება უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ წარმდგენი უსდ-ის რექტორის ბრძანების საფუძველზე და მოქმედებს უნივერსიტეტთან სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტამდე.

მუხლი 12. დამატებითი სემესტრი

1. სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო სემესტრების განმავლობაში.

2. პირველი ორი დამატებითი სემესტრის სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება დეკანის წარდგინების საფუძველზე შესასწავლი სასწავლო კურსის/კურსების კრედიტების შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ სტუდენტს დარჩენილი აქვს მხოლოდ კვლევითი კომპონენტი, თანხა შეეწონება სემესტრული გადასახადის ოდენობით - 1125. მომდევნო დამატებით სემესტრებში სტუდენტთან გაფორმდება ახალი ხელშეკრულება.

მუხლი 13. საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში მოპოვებული კრედიტებისაღიარება

საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში მოპოვებული კრედიტების აღიარება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით პარტნიორი უსდ-ების აკადემიური საბჭოების მიერ დადგენილი კრედიტების აღიარების წესის შესაბამისად.

მუხლი 14. შუალედური/დასკვნითი გამოცდა

1. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულისა.

2. სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:

ა) გამოცდის მიმდინარეობისას სტუდენტის მოქმედება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის გამოცდების ჩატარების ინსტრუქციასა და პარტნიორი უსდ-ების ეთიკისკოდექსთან;

ბ) დასკვნით გამოცდაზე დადგენილ ქულათა 50%-ზე ნაკლების მიღება.

2.1 შუალედური გამოცდის აღდგენის პირობები:

ა) შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს განმახორციელებელი ფაკულტეტი, გამოცდის აღდგენა დასაშვებია დეკანის სახელზე სტუდენტის განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიომიზეზის მითითებითა და ამ მიზეზის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას გამოცდის აღდგენის თაობაზე იღებს დეკანი. გამოცდის აღდგენა შესაძლებელია მოხდეს შუალედური გამოცდის ჩატარებისდღიდან 2 კვირის ვადაში;

ბ) შუალედური გამოცდის აღდგენისათვის განკუთვნილი 2 კვირის განმავლობაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტისათვის ინდივიდუალური წესით შუალედური გამოცდის აღდგენა დასაშვებია მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას ინდივიდუალური წესით შუალედური გამოცდის აღდგენის თაობაზე იღებს განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანი.

3. დამატებით გამოცდაზე გასვლის პირობები:

ა)ძირითად გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს განმახორციელებელი ფაკულტეტი, შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლა დასაშვებია დეკანის სახელზე სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას სტუდენტის დამატებით გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს დეკანი;

ბ) 41–50 ქულის შეფასების პირობებში ან/და ძირითად გამოცდაზე ჩაჭრილ სტუდენტს, რომელსაც დაგროვილი აქვს არანაკლებ 41 ქულისა, ავტომატურად ეძლევა შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება;

გ) სტუდენტი დამატებით გამოცდაზე დაიშვება მიმდინარე სემესტრის საგამოცდო პერიოდში, შესაბამისი პარტნიორი უსდ-ის რექტორის ბრძანებით დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადებში;

დ)საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდანარანაკლებ 5 დღეში.

მუხლი 15. სტუდენტის შეფასების წესი

1. დოქტორანტურაში დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები.

2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა;ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელიმუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდანაქვს შესასწავლი.

4. თუ სასწავლო კურსის შეფასებას ახდენს რამდენიმე გამომცდელი, საბოლოოშეფასება გამოითვლება მიღებულ ქულათა საშუალო არითმეტიკულით.

5. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

6. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

7. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

მუხლი 16. აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება

1. ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებენ წარმდგენი უნივერსიტეტისა და პარტნიორი უსდებ-ის ერთობლივი სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული მოთხოვნათა დაცვით. თსუ-ის შემთხვევაში, დამატებით საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო. (ხელშეკრულების დანართი 4, მუხლი 16)

მუხლი 17. დიპლომი/მოწმობა

1. დოქტორის აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას ადასტურებენ პარტნიორი უნივერსიტეტების რექტორები, ფაკულტეტის დეკანები და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი და პარტნიორი უნივერსიტეტების ბეჭდებით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართითურთ.

2. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.

მუხლი 18. გარდამავალი დებულებები

18.1. პარტნიორი უსდ-ების განათლების მეცნიერებების პროგრამების სტატუსშეჩერებული სტუდენტების მიერ მისი ხელახლა აღდგენა დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

18.2. პარტნიორი უსდ-ების განათლების მეცნიერებების პროგრამის სტატუსშეჩერებული სტუდენტების სტატუსის აღდგენის პროცესი წარიმართება ეტაპობრივად:

ა) პირველ რიგში სტატუსის აღდგენის შესაძლებლობა მიეცემათ იმ დოქტორანტებს, რომლებსაც პროგრამების აკრედიტაციის ვადის გასვლისას დასრულებული ჰქონდათ როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტი და უნდა წარედგინათდისერტაცია შესაბამისი წესის დაცვით;

ბ) მეორე ეტაპზე სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესაძლებლობა მიეცემათ იმ დოქტორანტებს, რომლებსაც შეჩერებული აქვთ სტუდენტის სტატუსი და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის კანდიდატებად განიხილებიან;

გ) მესამე ეტაპზე სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესაძლებლობა მიეცემათ იმ დოქტორანტებს, რომლებსაც პროგრამების აკრედიტაციის ვადის გასვლისას სტუდენტის აქტიური სტატუსი ჰქონდათ.